MES 5 21 0000985546

27/09/2021

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრ ები :

1. **თამარ მამსიკაშვილი** - სსიპ - ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დავით მალაზონია -** შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
3. **ქეთევან ბოტკოველი -** სსიპ - ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის პედაგოგი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს მდივანი;
4. **გიორგი გიგიბერია -** ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
5. **ქეთევან ნატროშვილი** - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
6. **პერტე ბაბილუა -** შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
7. **ლიანა კობესაშვილი -** შპს „ინტელექტი XXI - ის“ მასწავლებელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
8. **ზაქარია ქიტიაშვილი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს წევრი;
9. **მაკამამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
10. **რევაზ აფხაზავა** - კოალიციის განათლება ყველასათვის - საქართველო პოლიტიკის ადვოკატირების ოფიცერი, გამგეობის წევრი, ა(ა)იპ - განათლების პოლიტიკის დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნათია მჭედლიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლა

დირექტორი - თამარ მამსიკაშვილი

შპს წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლა

სკოლის დირექტორი - მაკა მახარობლიძე
ხარისხის მართვის მენეჯერი - ანა ბედენაშვილი
იურისტი - თათია ზარქუა

შპს იუჯი სკოლა
სკოლის ადმინისტრაციის უფროსი - თინათინ თოფურია
ხარისხის მართვის მენეჯერი - სალომე ცანავა

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

სსიპ - ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლა
ლელა ჯაში
ნანა ედიშერაშვილი

შპს წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლა
ნოდარ ანგურიძე
ნინო მჭედლიშვილი

შპს იუჯი სკოლა
მიხეილ ტეფნაძე
გულნარა ხაბურზანია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, თამარ მამსიკაშვილი. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2021 წლის 13 სექტემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 11:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის თანამშრომელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის გამოქვეყნებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს იუჯი სკოლის მონიტორინგის საკითხის განხილვა;
4. შპს იუჯი სკოლის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ პირველ საკითხთან მიმართებით განაცხადა თვითაცილება. გამომდინარე იქიდან, რომ თამარ მამსიკაშვილი იყო სსიპ - ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლის დირექტორი, აღნიშნული სკოლის ავტორიზაციის საკითის განხილვაში და კენჭისყრაში იგი მონაწილეობას ვერ მიიღებდა. აღნიშნულის შესაბამისად, დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის განხილვისას სხდომის თავმჯდომარედ დამტკიცდა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დავით მალაზონია და დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით.
საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ჯაშმა და ნანა ედიშერაშვილმა. მათ აღწერეს შეფასების შედეგები და ძირითადი მიგნებები სტანდარტების შესაბამისად.

ექსპერტის განცხადებით, სსიპ - ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლის სასკოლო-სასწავლო გეგმის პროექტი შედგენილი იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ ნ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმების საფუძველზე. მისი განმარტებით, სკოლას შემუშავებული ჰქონდა დისტანციური სწავლების სხვადასხვა მოდელი, სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმა და დისტანციური სწავლების განრიგი. სასკოლო-სასწავლო გეგმა შემუშავებული იყო სკოლის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, გარდა ამისა, სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა დისტანციური სწავლების დროს საათობრივი დატვირთვა, სადაც გათვალისწინებული იყო მოზარდის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობები.

ექსპერტის განცხადებით, სკოლას დოკუმენტში გაწერილი ჰქონდა დისტანციური სწავლების მონიტორინგის პროცესი. მისი თქმით, მონიტორინგის განხორციელებისას, სხვა საკითხებთან ერთად, დაწესებულება აქცენტს აკეთებდა ისეთ დეტალებზე, როგორიც იყო ეთიკის და ქცევის ზოგადი წესების დაცვა, რაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა.

ექსპერტის განცხადებით, სასკოლო-სასწავლო გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ინკლუზიური განათლება. მისი თქმით, ამ ეტაპზე, სკოლაში სსსმ მოსწავლე არ ირიცხებოდა, თუმცა, სკოლის სასკოლო-სასწავლო გეგმით წარმოდგენილი რეგულაციები ინკლუზიური განათლების განსახორციელებლად დეტალურად იყო გაწერილი და მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც იყო ალტერნატიული სასწავლო გეგმის შემუშავება და გამოყენება. მისი განმარტებით, სკოლის ინფრასტრუქტურა მოსწავლეთა საჭიროებებზე იყო მორგებული, სველი წერტილები ადაპტირებული და სკოლის კიბეებზე გაკეთებული პანდუსები, სსსმ მოსწავლეებს იოლად გადაადგილების საშუალებას აძლევდა. მისი თქმით, სკოლაში დამონტაჟებული იყო საერთაშორისო სტანდარტების მქონე ლიფტებიც.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა მოსწავლეთა შეფასების წესზეც. მისი განმარტებით, მოსწავლეთა შეფასების წესი სწავლა-სწავლების ხარისხის მართვაზე იყო ორიენტირებული და მიზნად ისახავდა სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვასა და სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. ექსპერტის თქმით, სკოლისათვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები. მოსწავლეთა შეფასება ხორციელდებოდა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებებით. ექსპერტის განცხადებით, ინტერვიურებისას იკვეთებოდა, რომ განმავითარებელი შეფასების კომპონენტის სარგებელი კარგად ჰქონდა გაცნობიერებული სკოლას და შესაბამისად, პრიორიტეტული იქნებოდა სწავლა-სწავლების პროცესში. აღნიშნულს ადასტურებდა სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენი შემაჯამებელი დავალების შეფასებას გეგმავდა სკოლა 2021-2022 სასწავლო წელს განმავითარებელი შეფასებით.

ექსპერტის განცხადებით, სსიპ - ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლაში ხარვეზები არ გამოვლენილა და სრულად აკმაყოფილებდა დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ასევე მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებს.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული

რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 1900 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან სსიპ - ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1900 - ით განსაზღვრის საკითხი.
ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ სასწავლო პროცესი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 15 სექტემბერს იწყებოდა, მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2021 წლის 13 სექტემბერი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლას (ს/კ 200314301) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1900 - ით. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 13 სექტემბერს.

2. შპს წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით.
საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნოდარ ანგურიძემ და ნინო მჭედლიშვილმა. მათ აღწერეს შეფასების შედეგები და ძირითადი მიგნებები სტანდარტების შესაბამისად.

ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ, დასაწყისშივე აღნიშნა, რომ სკოლის N6 შენობა, საჯარო რეესტრის ამონაწერიში ფიქსირდებოდა, როგორც მშენებარე, რადგან ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურს ექსპლუატაციაში ჯერ არ ჰქონდა ჩაბარებული. მისი თქმით, აღნიშნული პრობლემა სკოლას დაუფიქსირდა 2019 წელს, კონტინგენტის გაზრდასთან დაკავშირებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საბჭოს სხდომაზეც. ექსპერტის განმარტებით, რეალურად შენობა აშენებული იყო, გარემონტებული და მოქმედი. მისი თქმით, ამჟამად, სკოლამ წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვითაც, პროექტის კონსტრუქციული ნაწილი აკმაყოფილებდა მდგრადობისა და სიმტკიცის პირობებს.

ექსპერტმა წარადგინა ძირითადი მიგნებები სკოლის პროგრამული ნაწილის შესახებ. ექსპერტის განცხადებით, გარდა დამატებითი მეცადინეობისა, სკოლა სწავლისა და განვითარების თანაბარ საშუალებას აძლევდა სსსმ მოსწავლეებსაც. მისი თქმით, სკოლაში, ვიზიტის პერიოდისთვის, სწავლობდა 2 სსსმ მოსწავლე, რომლებიც კანონმდებლობის შესაბამისად შეფასებულნი იყვნენ მულტიდისციპლინური გუნდის მიერ. შეფასების საფუძველზე დამტკიცებული იყო ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ექსპერტის განმარტებით, თუ სსსმ მოსწავლეს ინდივიდუალური გეგმის განხორციელებისთვის დაჭირდობოდა სპეცმასწავლებელი, მაშინ მისი დაქირავებისთვის, ფინანსური კუთხით, პასუხისმგებელი იყო სსსმ მოსწავლის მშობელი. ექსპერტის თქმით, აღნიშნული ჩაწერილი იყო შინაგანაწესში და მშობელთან დადებულ ხელშეკრულებაშიც. ექსპერტის განცხადებით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ თუ პირი სხვაზე იქნებოდა ფინანსურად დამოკიდებული, შესაძლოა, მისთვის სკოლის ინტერესები, სსსმ მოსწავლეებს მიცემოდა მაღალი ხარისხის, მოსწავლეზე ორიენტირებული განათლება, და ამ პირის ინტერესები, არ დაემთხვეოდა ერთმანეთს და დაზარალებულიყო მოსწავლე.

ექსპერტის განცხადებით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია საკლასო ოთახებში კამერების მოხსნასთან დაკავშირებით. მისი თქმით, დაწესებულება აღნიშნულს იყენებდა მხოლოდ ტესტირებების დროს, გადაწერის პრევენციის მიზნებისთვის.

ასევე, ექსპერტის განცხადებით, სკოლის შინაგანაწესით, განსაზღვრული იყო რეგულაციები თანამშრომლების შერჩევის, მიღება/გათავისუფლების ასევე, წახალისებისა და დისციპლინური სანქციების შესახებ. მისი განმარტებით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, გამჭვირვალობის, თანამშრომელთა ნდობის ხარისხის გაზრდის უზრუნველყოფის მიზნით სასურველი იყო სკოლას გათვალისწინებული ჰქონოდა კონკრეტული გადაცდომისთვის კონკრეტული სახდელი, ასევე, რა გარემოებები შეიძლება ყოფილიყო დამამძიმებელი ან/და შემამსუბუქებელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ სკოლის პოზიცია.

სკოლის ხელმძღვანელის განცხადებით, გაცემული რეკომენდაციები გარკვეული საკითხების დახვეწასა და განვითარებაში დაეხმარებოდა სკოლას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტებს, ერთ-ერთი შენობა- ნაგებობა, რომელიც არ იყო ექსპლუატაციაში ჩაბარებული და ჰქონდა სკოლას სამხარაულის დასკვნა, რა აფერხებდა აღნიშნულ შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში ჩაბარების პროცესს და ამ შენობა-ნაგებობაში თუ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი.

ექსპერტთა განცხადებით, აღნიშნულ შენობაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, 2017 წელს დაწესებულებამ მიმართა მერიას, ახალი პროექტის ამოქმედებასთან დაკავშირებით, რომელიც იმ დროისთვის უკვე დამთავრებული იყო. მისი განმარტებით, 2018 ან 2019 წელს ქალაქში შემოვიდა ახალი რეგულაციები, ეგრეთწოდებული 41-ე დადგენილების სახით. მისი თქმით, წარმოდგენილ პროექტში არ იყო

გათვალისწინებული -1 სართული, რომელშიც შემდეგ სკოლამ განათავსა სასადილო. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნულმა გამოიწვია პროექტის კორექტირება. მისი თქმით, შენობა-ნაგებობას გავლილი აქვს ყველა ეტაპი და სკოლა ყოველდღე ელოდებოდა აღნიშნულის ექსპლუატაციაში ჩაბარებას.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, მიმართა სკოლას დაეფიქსირებინა პოზიცია, ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების შესახებ.
სკოლის ხელმძღვანელის განცხადებით, საკლასო ოთახებში კამერებთან დაკავშირებით, სკოლას ამ ეტაპზე გაგზავნილი ჰქონდა უსაფრთხოების წესის პროექტი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (შემდგომში-სამინისტრო). მისი თქმით, 6 სექტემბერს სკოლამ მიიღო შუალედური პასუხი, რომლითაც სამინისტრო ითხოვდა წესში გარკვეული ჩანაწერის კორექტირებას. იმავე დღეს სკოლამ გააგზავნა კორექტირებული ჩანაწერი და დაჩქარებული წესით მოითხოვა განხილულიყო აღნიშნული საკითხი. მისი განმარტებით, პასუხი არ მიუღიათ უსაფრთხოების წესთან დაკავშირებით, კონკრეტულად კამერებთან მიმართებით. სკოლის ხელმძღვანელის განცხადებით, ნებისმიერი გადაწყვეტილებისთვის სკოლა მზად იყო, სამინისტროდანაც თუ იქნებოდა რეკომენდაცია კამერების მოხსნათან დაკავშირებით, დაწესებულება გაითვალისწინებდა და მოსხნიდა კამერებს საკლასო ოთახებიდან, რომლებსაც ამ ეტაპზე მხოლოდ ტესტირებისთვის იყენებდნენ.
საბჭოს წევრმა, გიორგი გიგიბერიამ აღნიშნა, რომ საკლასო ოთახებში კამერების არსებობა იყო კანონის დარღვევა და ეს საკითხი მისთვის პრინციპული მნიშვნელობის იყო. ეს გარემოება კენჭისყრის დროს მის გადაწყვეტილებაზე მოახდენდა ზეგავლენას.
სკოლის იურისტის განცხადებით, 2019 წელს, როდესაც სკოლა გადიოდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის პროცესს, საჯარო რეესტრის ამონაწერში არ ფიქსირდებოდა დაწყებითი საფეხურის კორპუსი. მისი განმარტებით, ამ კუთხით, სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებით, შენობა-ნაგებობა დარეგისტრირდა როგორც მშენებარე. სკოლის იურისტის განცხადებით, უახლოეს ვადებში ექსპლუატაციაში შევიდოდა შენობა და წარმოადგენდნენ ცენტრში შესაბამის დოკუმენტს.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 12:30 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 12:45 საათზე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 1500 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1500 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 1

საბჭოს წევრმა, გიორგი გიგიბერიამ, მხარი არ დაუჭირა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს და განმარტა, რომ მისთვის მიუღებელი იყო საკლასო ოთახებში კამერების არსებობა.

ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ სასწავლო პროცესი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 15 სექტემბერს იწყებოდა, მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2021 წლის 13 სექტემბერი.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლას (ს/კ 404510739) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1500- ით. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 13 სექტემბერს.

საბჭომ მიმართა დაწესებულებას და გასცა რეკომენდაცია, სკოლის მიერ ცენტრში წარმოდგენილ იქნეს შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში შესვლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ასევე, კამერებთან დაკავშრებით მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება. დაწესებულებისთვის მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად ვადა განისაზღვრა მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე.

3. შპს იუჯი სკოლის მონიტორინგის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით.
საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მიხეილ ტეფნაძემ და გულნარა ხაბურზანიამ. მათ აღწერეს შეფასების შედეგები და ძირითადი მიგნებები სტანდარტების შესაბამისად.
ექსპერტის განცხადებით, შპს იუჯი სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად ვიზიტი განხორციელდა ქ. თბილისში, კოსტავას ქ.N77ა-სა და ალექსიძის ქ. N8-ში. მისი თქმით, კოსტავას N77ა-ში იყო შვიდსართულიანი შენობა-ნაგებობა, რომელსაც ჰქონდა ორი მთავარი შესასვლელი, ერთი ფეხით მოსიარულეთათვის, ხოლო მეორეში შესვლა შესაძლებელი იყო კეთილმოწყობილი ეზოს გავლით. ექსპერტის განცხადებით, სკოლის შენობაში შემსვლელი ეზოდან არსებული შესასვლელით მოხვდებოდა დასამატებელ ფართზეც, რომელიც დერეფნით

უკავშირდებოდა უკვე არსებულ ავტორიზებულ ფართს. ექსპერტის განმარტებით, ალექსიძის ქუჩა N8-ში არსებული შენობა-ნაგებობა ერთსართულიანი იყო, აღნიშნულ ფართში მოწყობილი იყო საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი, ოთახი სპორტის გაკვეთილებისთვის, სასადილო, კომპიურეტებისა და დაცვის ოთახი. ექსპერტის თქმით, ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ განმარტა, რომ აღნიშნულ ფართში სასწავლო პროცესი დაგეგმილი იყო 2022-2023 სასწავლო წლის პირველკლასელი მოსწავლეებისათვის.
ექსპერტის განცხადებით, თბილისის ორივე მისამართზე შესაძლებელი იქნებოდა სკოლის საათობრივი ბადით განსაზღვრული სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები, ხომ არ ჰქონდათ. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და მიიჩნიეს, რომ შპს იუჯი სკოლა აკმაყოფილებდა სრულად მოთხოვნილ სტანდარტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს იუჯი სკოლის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს იუჯი სკოლის (ს/კ 205258344) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

4. შპს იუჯი სკოლის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით.
საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოდ მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მიხეილ ტეფნაძემ და გულნარა ხაბურზანიამ. მათ აღწერეს შეფასების შედეგები და ძირითადი მიგნებები სტანდარტების შესაბამისად.
ექსპერტის განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2021 წლის 16 ივლისის წერილის მიხედვით სურდა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა 240 მოსწავლით. მისი თქმით, აღნიშნულ

წერილამდე „შპს იუჯი სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილების მიხედვით შპს იუჯი სკოლას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა თბილისის ფილიალში 705-ით, ხოლო ბათუმში 400-ით, რაც საერთო ჯამში შეადგენდა 1105 მოსწავლეს. ექსპერტის განმარტებით, წარმოდგენილი წერილის მიხედვით დაწესებულებას სურდა 240 მოსწავლით გაეზარდა თბილისის ფილიალის მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა და განსაზღვრულიყო 945 მოსწავლით. მისი თქმით, კონტიგენტის გაზრდის შემდეგ დაწესებულების მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა იქნებოდა 1345 მოსწავლე.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თბილისის ორივე მისამართზე შესაძლებელი იქნება სკოლის საათობრივი ბადით განსაზღვრული სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვა.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 1345 მოსწავლისთვის, კერძოდ, ქ. ბათუმში ი. ჯავახიშვილის ქ. N5 - ში 400 მოსწავლით, ქ. თბილისში კოსტავას N77ᵃ-ში 830 მოსწავლით, ალექსიძის ქ. N8-ში 115 მოსწავლით. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს იუჯი სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1345 - ით განსაზღვრის საკითხი, რომელიც დაწესებულების სასწავლო ფართების მიხედვით ნაწილდებოდა შემდეგნაირად: ქ. ბათუმში ი. ჯავახიშვილის ქ. N5 - ში 400 მოსწავლით, ქ. თბილისში - კოსტავას N77ᵃ-ში 830 მოსწავლით, ალექსიძის ქ. N8-ში 115 მოსწავლით.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ სასწავლო პროცესი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 15 სექტემბერს იწყებოდა, მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2021 წლის 13 სექტემბერი.

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მეშვიდე პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს იუჯი სკოლას (ს/კ 205258344), მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განესაზღვროს 1345 მოსწავლით, კერძოდ, ქ. ბათუმში - ი. ჯავახიშვილის ქ. N5 - ში 400 მოსწავლით, ქ. თბილისში - კოსტავას N77ᵃ-ში 830 მოსწავლით, ქ. თბილისში - ალექსიძის ქ. N8-ში 115 მოსწავლით. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 13 სექტემბრიდან.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 13:20 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მამსიკაშვილი თამარი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბოტკოველი ქეთევან